შაბათი, 1918 წ. ივნისის 22 № 116
წლიწადი მეორე

შაბათი, 1918 წ. ივნისის 22 № 116
ფასი 30 კაპ.

# ჩვენი ქვეყანა

ეროვნული ბიბლიოთეკა

**რედაქცია.**
საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში აღნიშ[ნუ]ლი უნდა იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს და მის შესახებ არავითარ მიწერ-მოწერას არ კისრულობს.
**რედაქცია ღიაა:** დილის 8—2 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე.

**კანტორა.**
**გაზეთის ფასი:** ერთი წლით 50 მან. 6 თვით 27 მან. 3 თვით 13 მან. 50 კაპ. ერთი თვით (მხოლოდ ქუთაისში) 4 მან. 50 კაპ. **განცხადების ფასი:** სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 50 კ., უკანასკნელზე 40 კ. ქალაქ გარედან მიღებული განცხადება ღირს ერთი ორად. **სამგლოვიარო განცხადება:** თითოჯერ არა უმეტეს სამი გამომცხადებისა 1 საათამდე 10 მ., 1 საათს შემდეგ 13 მან.
**კანტორა ღიაა:** დილის 8—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

**მისამართი:** ქუთაისი, თბილისის ქ., ფიჩხაძის ს. **ფოსტის ადრესი:** Кутаисъ, поч, ящикъ № 39. **ტელეფონი № 76.**

ქვრივი ეკატერინე ოქროპირის ასული ერისთავისა, შვილები: ალექსანდრე, ნოე, ისიდორე და იოსები (ევსევი) ბიჭიას ძენი ერისთვები გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველი საყვარლის მეუღლის, ხოლო მეორენი ძვირფასი მამის

ბიჭია (პლატონ) სიმონის ძის ერისთვისას,

რომლის გამოსვენება მოხდება დღით შაბათს, 22 ამა ივნისს, სოფელ სალომინაოში. 2 2

## ქუთაისის სასურსათო გამგეობა

ამით აცხადებს, რომ მაისისა და ივნისის ულუფა **შ ა ქ ა რ ი** გაიყიდება ივნისის 29-მდი, ივლისის პირველიდან გაიყიდება შემდეგი თვეების ულუფა შაქარი **მომატებულ ფასებში.** 3—1

საწარმოო **კოოპერატივის „ერობის“** თგანყოფილებაში იყიდება

## ფეხსაცმელი

კოოპერატივებს და მათ კავშირებს შეუძლია პარტიობითაც დაიკვეთონ. მისამართი: ქუთაისი, თფილისის ქ. ვლ. წერეთლის სახლი. თვ.—12.

ექიმ **ივ. ბოკერიას** ხირურგიული და გინეკოლოგიური საავათმყოფო მოსალოგინებელი განყოფილებით გაიხსნა და დასაწოლი ავათმყოფების მიღებაც განახლდა.
მიხეილის ქუჩა, წითელ ხიდთან, ქალაქის გამგეობის პირდაპირ. 31—თ.

## ექიმი ი. მ. პაპისოვი

(ბათომიდან)
განსაკუთრებით ღებულობს სიფილისით, ვენერიულ და კანის ავათმყოფობით. (შეშხაპუნება „606“ და „914“ ერლიხის პრეპარატების).
მიიღებს: 10—12 ს. და 6—8 ს. კვირაობით 10—12 საათ.
თფილისის ქუჩა, ეზიკოვის სახლი, კომერციულ სასწავ. პირდაპირ. (თვ.) 14

ექიმი
## გ. ა. ეზიკაშვილი

მიიღებს შინაგან და ბავშთა სნეულებიან ავათმყოფთ დილის 9 საათ. 11 საათამდე და საღამოს 6-დან 8-დე. თფილისის ქუჩა, საკუთარი სახლი (კომერციულ სასწავლებლის პირდაპირ). თ.

## მსურს დავიქირავო

**ორი, სამი ან ოთხი დიდი სინათლიანი ოთახები** სამთო უბანში. სასურველია მეორე სართული.
მისამართი: „ჩვენი ქვეყნის“ რედაქცია ალ. თორაძე.

## УЧИТЕЛЬНИЦА

нѣмецкаго языка
ищетъ уроки за столъ и квартиру.
Писменныя предложенія будутъ приниматься въ редакцій газеты „Чвени Квекана“. 1—1

## კანონი და ჩვენი მთავრობა

**(სამსახურიდან დათხოვა).**

უკანასკნელ წერილში*) ჩვენ ვამტკიცებდით, რომ ჩვენ მთავრობას თავის მოქმედების საფუძვლად კანონიერება არ დაუდვია და ამით ანარქია შეაქვს ცხოვრებაში. ამ დებულების გასაშუქებლად ის მაგალითი მოვიყვანეთ, რომ ქალაქის თვითმართველობამ უკანონოთ დაბეგრა მოქალაქენი და მთავრობამ კი ეს უკანონობა, მოქალაქეთა უფლების დარღვევა, უყურადღებოთ დასტოვა, თითქმის დაადასტურა. დღეს გვინდა მეორე მაგალითი მოვიყვანოთ,—გვინდა საგლეხო დაწესებულებათა მოსამსახურეთ სამსახურიდან დათხოვას შევეხოთ.

საგლეხო დაწესებულებები (მომრიგებელი შუამდგომელი, საგლეხო საკრებულო) ჯერ გაუქმებულნი არ არიან. კანონის ძალით, ჯერ ეს დაწესებულებები უნდა გაუქმდნენ, თუ ამას მთავრობა საჭიროდ დაინახავს, მოსამსახურენი შტატს გარეშე რჩებიან, მაგრამ რამოდენიმე თვეს ჯამაგირს ღებულობენ. ასეთია კანონიერი წესი. მაგრამ ამის წინააღმდეგ, ქუთაისის გუბერნიის კომისარმა (და არა უმაღლესმა მთავრობამ), როგორც ჩვენ გაზეთში იყო მოყვანილი, თვითეულ მოსამსახურეს წერილობითი წინადადება მისცა, რათა მათ სამსახურს თავი დაანებონ. ამასთანავე გუბერნიის კომისარი მოხელეებს სწერს, რომ იგინი დათხოვნილნი იქნებიან, თუ თავის ნებით სამსახურიდან არ გავლენ, დათხოვილნი იქნებიან პირველი ივნისიდან, ესე იგი უკანა რიცხვიდან, რადგანაც ეს ქაღალდი მოხელეებმა მხოლოდ 12 ივნისს მიიღეს. მოწერილობა იმასაც ამბობს, რომ ოც რიცხვს მოხელეები ჯამაგირს ვერ მიიღებენ.

რევოლუციის პროცესში, ვიდრე მთავრობა დაარსდებოდეს და განმტკიცდებოდეს, შეიძლება ამნაირი რევოლუციური მოქმედება და ისიც რევოლუციური ორგანიზაციის მიერ. მაგრამ ახლა, მადლობა ღმერთს, მთავრობა, დიდი ხანია, შესდგა და ცდილობს გამაგრდეს, ყოველივე ძალა-უფლება მოიპოვოს. მაშასადამე, ამ მომენტში ამნაირი მოქმედება კომისარის ყოვლად შეუწყნარებლად უნდა ჩაითვალოს.

მერე რა უფლება აქვს კომისარს, რომ ამნაირი, საკანონმდებლო განკარგულება მოახდინოს გუბერნიაში?! რა უფლება აქვს, რომ, მთავრობის დაუკითხავად, საგუბერნიო დაწესებულებათა მოხელეები სამსახურიდან დაითხოვოს და ამით გუბერნიის უმაღლესი დაწესებულება სრულიად განაუქმოს?!

სახელმწიფოში სამსახური კანონით არის განსაზღვრული. როგორც სამსახურის დაწყებას, ისე დასრულებასაც თავისი წესი აქვს. ყოველივე მოსამსახურე თავისი უფლებებით არის აღჭურვილი. ეს უფლებები, სხვათა შორის, იმაში გამოიხატება, რომ უსამართლოთ, კანონს გარეშე, ის სამსახურიდან განდევნილი არ იქნება, და როდესაც არსებული წესით ის სამსახურს თავს დაანებებს, ნივთიერადაც, კანონის მიხედვით, უზრუნველყოფილი იქნება. წარმოიდგინეთ, რომ განსაზღვრული ჯილდო მაშინაც ეძლევა მოხელეს, როდესაც იგი პასუხის გებაშია მიცემული. ჩვენი გუბერნიის მთავრობა კი პირდაპირ სთელავს, არღვევს მოხელეთა ამ უფლებებს: წინადადებას იძლევა, სამსახურს თავი დაანებეთო (შესაძლებელია უპენსიოთაც). აქ, რაღა თქმა უნდა, არიან იმისთანა მოხელენი, რომელთაც რამოდენიმე ათეული წელი სამსახურში სინიდისიერათ გაუტარებიათ. დღეს ესენი ქუჩაში უნდა გამოეყარონ! ამათ რიცხვში იქნებიან იმისთანაც, რომელნიც ყოველ სახსარს მოკლებულნი არიან და რომლის თვალწინ შემაძრწუნებელი კითხვა დადგება: ხვალ ექნებათ მათ პური არსებისა თუ არა? გასაკვირველი მოვლენა ხდება ჩვენში! როდესაც „ხაზეინი“ ნოქარს, ან მოქალაქე მზარეულს სამსახურიდან დაითხოვს, თვითეული მათგანი ვალდებულია, დღევანდელი კანონით, სამი თვის ჯამაგირი მისცეს მოსამსახურეს. მოხელეთა შესახებ სულ სხვანაირად იქცევა ჩვენი მთავრობა: ადამიანები სახელმწიფოებრივ სამსახურში მოხუცდნენ, ამ სამსახურში ძალღონე დაჰკარგეს, და დღეს ამათ გარეთ ჰყრიან, შტატგარეშე ჯამაგირსაც უსპობენ, რომ რამოდენიმე თვე მაინც უზრუნველყოფილი იყვნენ. გამოდის, რომ ჩვენი მთავრობა ნოქრების სამსახურს „ხაზეინებთან“ უფრო მაღლა აყენებს, უფრო აფასებს, უფრო მეტს სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას აძლევს, ვიდრე სახელმწიფოს დაწესებულებებში სამსახურს. გვითხრან მაინც: რომელ სახელმწიფოში და რა დროს ყოფილა მთავრობის ამისთანა სახელმწიფოებრივი იდეას დამღუპველი პოლიტიკა?!

**დ. გურული.**

*) იხ. „ჩვ. ქვეყანა“, № 112.

## გარდამავალი ხანა.

გეოგრაფიულად და ეთნიურად საქართველო იყო ერთი, ინტელექტუალურად კი ოთხი:

სოციალ-დემოკრატების,
სოციალ-ფედერალისტების,
სოციალ-რევოლუციონერების,
და ეროვნულ-დემოკრატების.

თითოეულ მათგანს საკუთარი ტერიტორია ჰქონდა:

რუსულ-ცენტრალისტური,
რუსულ-ფედერატიული,
რუსულ-ოლქობრივ-თემობრივი
და ქართულ-სუვერენული.

საკუთარი ხალხი და ჯარი ჰყავდათ:

პროლეტარები,
ინტელიგენტები,
„მიმავალი ეშელონები“
და ქართველები.

ასე იყო ამ 25 წლის განმავლობაში, ასე აღარაა დღეს. „დიდმა რევოლუციამ“ გეოლოგიური კატასტროფა მოახდინა მათს ტერიტორიაზე;

„მთლიანი რუსეთი“ პეტროგრადის თავრიდის სასახლეში მოკვდა,
ფედერაცია—სეიმში,
თემები და ოლქები „მიმავალ ეშელონებმა“ თან წაიღეს.

ნამდვილი საქართველო ისევ თავის ალაგას დარჩა.

„რევოლუციის გაღრმავებით“ ხალხიც დაკარგეს:

პროლეტარები პეტროგრადის ქარხნებში დარჩათ,
ინტელიგენტები ოცნებამ წაიღო,
„ეშელონები უკვე წავიდენ,“
ქართველები ისევ საქართველოში არიან.

და ამ უკანასკნელთან არიან ეროვნულ-დემოკრატები.

დანარჩენების არსებობის ნიშნათ ჩვენს ისტორიაში იქნება მხოლოდ ნომრები:

№ 1,
№ 3,
და № 6.

15 ივნისის შემდეგ ეს ნომრებიც შეერთდნენ. უმიწა-წყლოდ და უხალხოდ ლტოლვილები შეჯგუფდენ, შეჯგუფდებიან უთუოდ ნომრებიც, და მაშინ ვიხილავთ ნამდვილ საქართველოს, საქართველოს ერთსა და მთლიანს. მანამდის კი საქართველო კიდევ განიცდიდეს

იქნება ორმაგ ტანჯვას: სოციალისტურსა და არა სოციალისტურს. ხანგრძლივი იქნება ეს ტანჯვა, რადგან სოციალისტების უიღბლობაა, მარად ეძებონ და ვერასოდეს ნახონ, მარად ვიდოდენ და ვერასოდეს მივიდენ.

ქართველი სოციალისტებიც დღეს იმიტომ ეძებენ სამშობლოს, რომ ხვალ ისევ დაკარგონ. ესაა მათი თანდაყოლილი ხვედრი.

მაგრამ ჩვენ გვწამს, რომ სამშობლოს თუ ისინი ვერ ნახულობენ, სამშობლო მონახავს მათ. და ეს სოციალისტური უიღბლობა განშორდება საქართველოს საზღვრებს ისე, როგორც გაგვშორდა რუსეთი და რუსის ეშელონები.

კალე.

## პრესა.

საქართველოს სხვადასხვა კუთხის ანარქიის შესახებ „სოციალ-დემოკრატი" სწერს:

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა სახელმწიფოებრივ აშენებლობითა და შემოქმედობითი მუშაობას გაცხარებით და დაუსვენებლივ აწარმოებს. ამგვარ პირობებში მის წინააღმდეგ იარაღით ხელში გამოსვლა არის სახელმწიფოებრივი ღალატი, რევოლუციის ღალატი, გარეშე მტრისათვის ხელის შეწყობა, გარეშე მტრის აგენტობის როლის ასრულება. ჩვენ სწორეთ ამ თვალსაზრისით ვუყურებთ სოხუმში და სამეგრელოში დაწყებულ ბოლშევიზმს და არც შეიძლება აქ, ამ შემთხვევაში სხვაგვარი შეხედულობა იქონიოს ნამდვილმა რევოლუციონერმა და დემოკრატმა.

აშკარაა ბოლშევიკური ანარქიის წინააღმდეგ მთავრობამ სასტიკი ზომები უნდა მიიღოს და მისი სულის ჩამდგმელი დასაჯოს ისე, როგორც შეეფერება სახელმწიფოს მოღალატეებს-

ეს იქნება დაცვა დემოკრატიულ რესპუბლიკანურ სახელმწიფოსი.

ეს იქნება დაცვა რევოლუციისა.

მართალნი ხართ! ბოლშევიკების გამოსვლა დამოუკიდებელ საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ „სახელმწიფოებრივი, ღალატია, მოღალატენი კი უნდა „დაისაჯოს" უთუოდ. მაგრამ ჩვენ გვგონია, რომ თქვენ ამას ან არ იზამთ და ან ვერ იზამთ. არ იზამთ რადგან „ბოლშევიზმი" და „მენშევიზმი" ერთი დედის შვილია, ერთი მომავალზე ოცნებობენ. ისინიც მარქსისტებია და თქვენც, ისინიც სოციალისტებია და თქვენც. თქვენს შორის მხოლოდ დროული „ამხანაგური" განსხვავებაა. იმათმა შეითვისეს მარქსის სოციალური კატასტროფის თეორია, თქვენ კი დიალექტიკის. ისინი აჩქარებენ თქვენთვის ძვირფას „მომავალი სახელმწიფოს" დაარსებას; თქვენც ბევრს ცდილობთ. მის დაჩქარებას „რევოლუციის გაღრმავებით", მთელი თქვენი არსებით მიისწრაფით იქითკენ, მაგრამ ბოლშევიკებმა გაგასწრეს. სოციალური რბენის" დროს ბოლშევიზმს აღმოაჩნდა თქვენზე მუხლებიც მაგარი და ფილტვებიც უფრო საღი. ისინი წინ გარბიან, თქვენ უკან სდევნაში დაიღალეთ, „მოღალატეებთან" ბრძოლის დროს განა თქვენ დაგავიწყდებათ ის, რომ თქვენი მუხლების სისუსტე და ფილტვების ავადმყოფობა რომ იმათი ბრალი სრულიად არ არის ვისაც თქვენ მისდევთ?

ვერც შეძლებთ „მოღალატეების დასჯას", რადგან თქვენ არ გყავთ ერთი მტკიცე მთავრობა,—გაქვთ მთავრობები, არ გაქვთ ფინანსები, გაქვთ ბონები, არ გყავთ ჯარი,—გყავთ ბრბო და „სახალხო გვარდია."

მაშ როგორ გესმით თქვენ სახელმწიფოებრივი მოღალატეების დასჯა?

იქნება აქ პოტენციალურად გულისხმობთ მოღალატეების დასჯას „გერმანული კანონების მთელი სისასტიკით", რომლის თქმას საშუალებაც მიეცით თქვენ გერმანეთის სამხედრო მისიის უფროს? მაგრამ ხომ ეს უცხო ძალის ჩარევა იქნება ჩვენს შინაურ საქმეებში, რასაც თქვენ „ღალატად" სთვლით.

ეცადეთ ღალატმა თქვენს ორგანიზმში არ იჩინოს თავი.

## უკრაინაში.

**უკრაინის ჯარი.**

გენერალური შტაბის უფროსმა, ატამან ელივინსკიმ გეტმანს წარუდგინა მოხსენება ჯარის ორგანიზაციის მოწყობის შესახებ.

ახალი ჯარი გაწვრთნილი იქნება დასავლეთ-ევროპიული წესით. განსაკუთრებული ყურადღება იქნება მიქცეული ინსტრუქტორთა-კადრს. შემოღებულ იქნება სავალდებულო სამხედრო ბეგარა. მუშავდება ახალი წესდება სამხედრო ბეგარის შესახებ, სადაც უქმდება ზოგიერთი შეღავათები.

**ფულის ნიშნები.**

მოხდა სახელმწიფოს ფინანს. კომიტეტის სხდომები. სხდომებზე მონაწილეობას ღებულობენ ცენტრალურ სახელმწიფოთა წარმომადგენლები. საბოლოვოდ გადასწყდა, რომ შემოღებულ იქმნას საკუთარი უკრაინული ფულის ნიშნები.

უკრაინის მთავრობა გამოსცემს 500 მილიონიან სახელმწიფო ხაზინის „სერიებს" სერიები გერმანეთში დაიბეჭდება. იქვე დაიბეჭდება სახაზინო ნიშნები და 20- და 50 კარბოვანცევისა.

## ფინეთი.

ფინეთის სენატის პოლიტიკურ განყოფილებამ განკარგულება მიიღო, რომ ფინეთის სოციალ დემოკრატიული პარტიის ყველა „საშუალო სახლებს, თეატრს, სამკითხველოებს, კლუბებს, სანატორიებს და სხვა კულტურულ განმანათლებელ დაწესებულებებს „სეკვესტრი" უყონ.

„სეკვესტრს" უყოფენ აგრეთვე მუშათა დამზღვევ საზოგადოებათა თანხებს და საურთიერთო დამხმარე კასებს.

სენატის ასეთმა განკარგულებამ ფინეთის სამოსწავლო და საზოგადო მოღვაწეებში პროტესტი გამოიწვია და სენატს მიუთითებენ იმაზე, რომ მუშათა კლასის კულტურული სიმდიდრის განადგურება დასაშვები არ არის.

ფინეთის სენატში გაზეთების გადმოცემით მუშათა კლასის დამცველი რიცხვი მეტად მცირეა და ამ განკარგულების შეცვლა მოსალოდნელი არ არის.

## უკანასკნელი ცნობები მოსკოვიდან.

რუსეთელი უკანასკნელი გაზეთების ცნობით ჩეხო სლოვაკებმა დაიკავეს სიმბირსკი და წითელ-არმიელებს ... აჰყარეს. უფასთან ბრძოლა სწარმოებს. სამარაში კომუნისტებმა მობილიზაცია გამოაცხადეს.

— თათბირმა, რომელიც მოხდა ღენერალ ეიხორნთან, გადასწყვიტა მოითხოვონ, რომ კურსკის გუბერნია, დონეცის, „ბასეინი" ტაგანროგის მაზრა და ვორონეჟის გუბერნიის სამხრეთ აღმოსავლეთი ნაწილი უკრაინას შეუერთდეს.

— გერმანიის მთავრობამ უკრაინაში სასურსათო საქმეების მოწყობა თავის თავზე იდვა და იქ გაგზავნა მთელი შტაბი სასურსათო საკითხების მცოდნე პირებისა.

— გერმანიის მთავრობამ კრიმის ყველა ქალაქებში ხმოსანთა ხელახალი არჩევნები დანიშნა.

— ხმელთაშუა ზღვაში დაიღუპა ინგლისელთა ტრანსპორტი „კესტი" დაიღუპა დიდძალი მგზავრები. დაიხჩო 13 ოფიცერი და 79 ჯარისკაცი.

— ბრიუსლოვის შესახვევში დააპატიმრეს კრება კადეტებისა, სადაც მონაწილეობას ღებულობდა 79 ახალგაზდა.

— დააპატიმრეს ნაფიცი ვექილი მალიანტოვიჩი, გოლანი და იაკულოვი.

— მაკლაკოვმა პარიზში განაცხადა, რომ მოკავშირეთა ვალია გამოვიდენ და რუსეთის რეკვას არ დაუცადონ.

— ფინლიანდიის სენატის ბრალმდებელმა განკარგულება გასცა, რომ დააპატიმრონ 56 ს. დ. დეპუტატი, რომელთაც სახელმწიფოს ღალატი ბრალდებათ.

— მღელვარება არაგიდან - ქვემო ავსტრიის პროვინციებში გადავიდა.

## ბაქოელი ქართველების მდგომარეობა.

საქართველოს რესპუბლიკის თავმჯდომარემ ბაქოს მუშათა და მეზღვაურთა საბჭოს დეპუტატებს შემდეგი დეპეში გაუგზავნა.

## ეროვნულ დემოკრატიულ ფრაქციის პასუხი

### მთავრობის დეკლარაციაზე

**წაკითხული ივნისის 15 სხდომაზე**

**გრიგოლ ვეშაპელი.** (ჰკითხულობს ეროვნულ დემოკრატიული ფრაქციის პასუხს დეკლარაციაზე).

ეროვნულ საბჭოს წევრნო! საქართველოს მთავრობის მეთაური ის დიდი პარტია არის, რომელიც ხელმძღვანელობს ქართველი ერის საშინაო და საგარეო პოლიტიკას რუსეთის რევოლუციიდან დაწყებული ვიდრე დღემდის. ქართველი ერის ეკონომიური, პოლიტიკური და საერთაშორისო მდგომარეობა ავალებს მთავრობას, რომ მან დემოკრატიული, ჩვეულებრივი, ეგრედ წოდებული ბურჟუაზიული სახელმწიფო ააშენოს და მოაწყოს.

უმრავლესმა სოციალისტურმა პარტიამ იკისრა ეს მძიმე არასოციალისტური მისია.

ნაციონალ-დემოკრატიულ პარტიის მოვალეობა ის არის, რომ არსებითი კრიტიკით შეხვდეს იმ შემცდარ ნაბიჯებს, რომელსაც სდგამს სოციალისტური მთავრობა მისთვის უცხო საქმის შესრულების დროს; და ეს კრიტიკა უნდა გაგრძელდეს მანამდის, სანამ ქართველი ერის შინაურ ძალთა განწყობილება, ის განწყობილება, რომლის პროპორციით არის შემდგარი ეროვნული საბჭო, ჩვენდა სასარგებლოდ არ შეიცვლება. ჩვენ პატარა, ძალიან პატარა ერი ვართ, და არა სამოქალაქო ომით, არამედ მხოლოდ ეროვნულ სახელმწიფოებრივ ძალების მოგროვებით შეგვიძლია დავაყენოთ ჩვენი ქვეყანა იმ გზას, რომელსაც დიდი ხანია რაც ადგიან ჩვენზე უფრო წინ წასული ერები ევროპისა.

ჩვენი მთავრობის პირველშობილი შეცოდება ის არის, რომ სოციალისტურ პოლიტიკის და ეკონომიკის მოციქულებმა იკისრეს არასოციალისტურ სახელმწიფოს აშენება.

სახელმწიფოს საშინაო პოლიტიკა კლასთა კომპრომისს მოითხოვს, ამ საქმეს კი კლასთა ბრძოლის, სამოქალაქო ომის იდეოლოგები კისრულობენ; სახელმწიფოს საგარეო ინტერესები რეალურ, ნაციონალურ პოლიტიკას და დიპლომატიას მოითხოვს. ამ საქმეს კი სოციალისტური ინტერნაციონალის მოზიარენი აკეთებენ.

თუ როგორ აკეთებენ, ამას მთავრობის დეკლარაციის განხილვით მოგახსენებთ.

დეკლარაცია გვპირდება ანარქიის მოსპობას და ერთი ძლიერი მთავრობის შექმნას, რომელიც აგებს პასუხს ეროვნულ საბჭოს წინაშე... „მთავრობის გვერდით, ეს რევოლუციურმა ორგანიზაციებმა უკვე იცნეს, არ უნდა იდგეს არც ერთი მთავრობის უფლებებით აღჭურვილი ორგანო. მაგრამ ჩვენ ვიცით რომ ინტერნაციონალური „კრაევოი ცენტრის" და თბილისის „მუშათა და სალდათთა" „სოვეტის" ორგანოები დღემდის მსჯელობენ საქართველოს მთავრობის პოლიტიკურ და პერსონალურ რეორგანიზაციაზე, და თუმცა საქართველოს მთავრობა არჩეულია სუვერენული ქართველი ერის საბჭოს მიერ და მხოლოდ მის წინაშე უნდა აგებდეს პასუხს, მაგრამ ამ სუვერენულ ეროვნულ საბჭოს არაფერს ეუბნებიან მთავრობის კრიზისის შესახებ... არავისთვის საიდუმლო არ არის რომ სასახლეში დღემდის ორი მთავრობა არის; და ამის გარეგანი სიმბოლო ის არის, რომ საქართველოს ოფიციალურმა მთავრობამ ვერ შეასრულა დადგენილება ქართული ეროვნული დრო[illegible]ახებ; საქართველოს პარლამენტის და მთავრობის სასახლეზე წითელი დროშა ფრიალებს, რომელიც დღეს ბოლშევიკურ რუსეთის სახელმწიფო ბაირაღად არის ცნობილი ყველგან.

მთავრობა გვპირდება „საკუთარი, ევროპიულის წესით გაწვრთნილ ჯარის" შედგენას: სახალხო მილიციაზე მთავრობა აღარას ამბობს, მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ მთავრობის მეთაურ პარტიას, სოციალ დემოკრატიას, მზად აქვს კანონპროექტი, რომ ეგრედ წოდებული „წითელი გვარდია" რომლის პრივილეგიური მდგომარეობა ხელს უშლიდა და უშლის დღესაც სახელმწიფო რეგულიარულ ჯარის შექმნას, მუდმივ „სახალხო გვარდიათ" იქმნას დამტკიცებული; ასეთის გზით თუ ვიარეთ, ჩვენ არც ევროპიული ჯარი გვეყოლება და არც აზიური.

მთავრობა გვპირდება ფინანსების მოწესრიგებას, ფულის მოჭრას და სესხის აღებას. მაგრამ კარგი ფინანსები კარგ პოლიტიკას მოითხოვს.

სანამ მთავრობა არ აღიარებს და არ გამოაცხადებს საკუთრების, კაპიტალის ხელუხლებლობას, სანამ მთავრობა არ იზრუნებს მრეწველობასა და აღებ-მიცემობის განვითარებაზე და არ მოსპობს ვაჭრობის ხელოვნურად შემზღუდამ და შემბორკავ ზომებს, რაც იწვევს და აღრმავებს სასურსათო და საზოგადოთ ყოველის საქონლის კრიზისს და ჰბადებს საშინელს სპეკულიაციას; სანამ მთავრობა არ მოკრეფს იძულებით გარდუხდელ პირდაპირ გადასახადებს და ფართოდ არ ასარგებლებს არაპირდაპირ გადასახადების სისტემით, სანამ მთავრობა არ შეადგენს ისეთს მუდმივ ხარჯთ აღრიცხვას და ბიუჯეტს, რომ მთავრობა და სახელმწიფო დაწესებულებანი რაც შეიძლება იაფი დაუჯდეს ხალხს, სანამ არ მოისპობა ზედმეტი დაწესებულებანი, ის ურიცხვი სხვადასხვა კომიტეტები, რომლის შენახვა მილიონები ღირს, სანამ არ მოეწყობა ნამდვილი, სასტიკი სახელმწიფო კონტროლი,— მანამ ქართული ფინანსების კრედიტი და ავტორიტეტი არც შინ იქნება და არც გარედ და ვერავითარ სესხს ვერ ვიშოვნით, ვერც საქართველოში და ვერც საზღვარგარედ, რაც უნდა დახელოვნებული არ იყოს ქართველობა ამ საქმეში; ფულსაც ვერ მოვჭრით, ბეჭდვით კი, ფულს ახლა კლუბიც კი აკეთებს.

დეკლარაციის ენერგიული გამოთქმით „საქართველოს რესპუბლიკის პირველი მთავრობა მთელის თვისის ძალღონით შეუდგება დაწყებულ აგრარულ რეფორმის განხორციელებას და ამ გზაზე ყოველივე დაბრკოლების დაძლევას". ენერგიული ტონი კარგი საქმეა პირველ მთავრობისათვის. მაგრამ საქმე ის არის, რისთვის დაიხარჯება ეს ენერგია. აგრარული რეფორმა ეს ის დეკრეტია, რომელიც მეტისმეტი სიჩქარით დააკანონა განსვენებულ ამიერკავკასიის სეიმმა.

ეს ის დეკრეტია, რომლითაც უფასოდ ერთვევა მცირე ნორმაზე მეტი მამული მიწისმფლობელს, როგორც ყოფილ თავადს, ან აზნაურს, ისე ყოფილ გლეხს. ეს ჩამორთმეული მიწა ებარება მეტად ძვირად ღირებულ საადგილ-მამულო კომიტეტს, რომელთაც იჯარით უნდა მისცეს ეს მიწები გლეხებს; ამ დეკრეტის შედეგი ჯერ-ჯერობით ის არის, რომ ნორმაზე მეტ მამულებში ისპობა ინტენსიური მეურნეობა და სოფლის წოდებათა და კლასთა შორის ღვივდება საშინელი შუღლი და მტრობა; ამ დეკრეტმა დიდი როლი ითამაშა აგრეთვე სამაჰმადიანო საქართველოს ჩვენგან გადაბირებაში; სწორედ ეს დეკრეტია პირველი დიდი „ჭაობი", რომლის ამოშრობაზე უნდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გავიგეთ, რომ ბაქოში მცხოვრებ ქართველებს სურვილი აქვთ საქართველოში წამოვიდენ. გთხოვთ გვაცნობოთ დართავთ თუ არა ნებას წამოსვლისას და რკინის გზის რომელ სადგურამდის შეგიძლიათ მოიყვანოთ ისინი მატარებლით. თუ კი—მაშინ გვაცნობეთ როდის შეგიძლიათ მოაწყოთ პირველი მატარებლის გამომგზავრება. რაც შეეხება მატარებლის უკანვე დაბრუნებას, ამის შესახებ ჩვენ სრულს გარანტიას გაძლევთ.

# ახალი ამბავი.

## ქ უ თ ა ი ს ი.

**მოხსენება.** ხუთშაბათს 20 ივნისს პარტიის სამთო უბნის რაიონის კომიტეტის ბინაზე ილარიონ ჟღენტმა წაიკითხა მოხსენება დღევანდელ მომენტზე. მოხსენება შინაარსიანი გამოდგა; მან ჩათლად დაგვიხატა საქართველოს დღევანდელი მდგომარეობა. აღნიშნა თუ რა ხიფათი მოელის მის დამოუკიდებლობას, თუ არ მოხდა მთავრობის რეორგანიზაცია, არ ჩაბარდა კაბინეტი ისეთ ხალხს, რომელთაც შესწევს სახელმწიფოებრივი მართვა-გამგეობის უნარი. მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი. მოკამათედ გამოვიდა ერთი სოც.-დემოკრატი (მენშევიკი) რომელიც არსებითად ვერ შეეხო მოხსენებას და გარდა ამისა ძლიერი სისუსტე გამოიჩინა პარტიულ პროგრამის ცოდნაში. მომხსენებელმა მას მოხდენილად უპასუხა რის შემდეგაც კრება დაიხურა და მომხსენებელს მადლობა გამოუცხადეს შინაარსიან მოხსენების წაკითხვისათვის.

✦ **სადგილ მამულო რეფორმის გარშემო.** მიწად მოქმედების მინისტრის განკარგულების თანახმად ქუთაისის გუბერნიაში საადგილ მამულო რეფორმის რევიზორათ დაინიშნა მანუილოვი. ამის გამო გუბერნიის კომისარი წინადადებას აძლევს სამაზრო და სარაიონო კომისრებს, რომ შესაფერი დახმარება აღმოუჩინონ მას.

✦ **ჰაეროპლანის გაფრენა.** გუშინ, 21 ივნისს, დილის 8 საათზე სავარჯიშოთ გაფრინდა ჩვენი ჰაეროპლანი. ჰაეროპლანს მართავს მფრინავი ისაევი (ლეკი).

✦ **ტყიბულის მაღაროები.** გუშინ გაემგზავრა გუბერნიის კომისარი ჩხიკვიშვილი, მიმწოდებელი კომიტეტის თავმჯდომარე ვ. არდიშვილი და შრომის კომისარი გ. ჟღენტი. აღნიშნული პირების გამგზავრება დაკავშირებულია ტყიბულის მაღაროებში მუშაობის განახლებასთან და მუშაობის გაფართოებასთან.

✦ **ლტოლვილი ბერძნები.** ქუთაისის გუბერნიაში ამ ჟამად დიდძალი ლტოლვილი ბერძნები იმყოფებიან. უმთავრესად ისინი გადმოხვეწილნი არიან ბათომისა და ყარსის ოლქებიდან. მათი მდგომარეობა, როგორც სურსათის ისე მატერიალურად უმწეოა. ბერძნის ლტოლვილები ამ ჟამად გაფანტული არიან გუბერნიის თითქმის რკინის გზის ყველა ადგილებზე. მარტო ქუთაისში და ტყიბულში ამ ჟამად იმყოფება 1200 ლტოლვილი ბერძენი.

✦ **ელინთა ეროვნული საბჭოს შუამდგომლობა.** ელინთა ეროვნული საბჭოს ქუთაისის განყოფილებამ ლტოლვილთა დამხმარე ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტს შუამდგომლობით მიმართა, რომ დახმარება აღმოუჩინოს ლტოლვილ ბერძნებს. ხსენებული ეროვნული საბჭო დაწვრილებით აღნიშნავს ლტოლვილ ბერძენთა მდგომარეობასაც, რომ მათ საგრძნობი დახმარების აღმოჩენა არ შეუძლია. დღემდის ლტოლვილთა დასახმარებლად ელინთა საბჭოს შეუკრებია 2000 მანეთი, ელინთა საოლქო საბჭოსაგან, თბილისიდან მიუღიათ 7500 მანეთი. ამ თანხას ქუთაისის ელინთა საბჭო აძლევს ლტოლვილთა დამხმარე ქუთაისის კომიტეტს და სთხოვს, რომ ბერძენ ლტოლვილებს სასწრაფოთ აღმოუჩინონ დახმარება.

✦ **ლტოლვილთა დამხმარე კომიტეტი სამტრედიაში.** ქართველ საქველმოქმედო საზოგადოების სამტრედიის განყოფილება სთხოვს ლტოლვილთა დამხმარე საგუბერნიო კომიტეტს, რომ სამტრედიაში განყოფილების გახსნის საქმე მიენდოს სამტრედიის ქალაქის თვითმმართველობას.

✦ **სამოსწავლო საქმეები.** დღეს, დილის 10 საათზე, კლასიკური გიმნაზიის დარბაზში მოხდება დასავლეთ საქართველოს საშუალო სასწავლებლების მასწავლებელთა კავშირის კრება, რომელზედაც მოხსენების გააკეთებენ თბილისიდან ახლად დაბრუნებულნი: ტრ. მიხ. ჯაფარიძე, ი. გაჩეჩილაძე და ე. არსენიშვილი, რომელნიც თბილისს გამგზავრებულნი იყვნენ სამოსწავლო საქმეების მდგომარეობის გამოსარკვევად.

✦ **ბათომის ლომბარდი.** ბათომის ქალაქის ლომბარდის ქონება ამ ჟამად ქუთაისში ინახება. ქონება მილიონ მანეთის ღირებულებამდის აღწევს. ბათომიდან ჩამოსულები ამ ქონებას თხოულობენ, მაგრამ ქონების გაცემაზე ჯერ არავითარი განკარგულება არ არის.

✦ **კონცერტი.** დღეს ქალაქის თეატრში კონცერტი გაიმართება.

✦ **დასის გამგზავრება.** თბილისელი დასი, რომელიც ქუთაისში იმყოფებოდა და 4 ჯერ დასდგა „არშინ მალ ალან“ უკვე გაემგზავრა.

✦ **ბინის საკითხი.** მილიციის უფროსი სულაქველიძე გუბერნიის კომისარს ატყობინებს, რომ ბინის პატრონთა და დამქირავებელთა შორის ატეხილი დავა მას დიდ დროს ართმევს და სთხოვს, რომ გასცეს განკარგულება, განსაკუთრებული კომისიის დასაარსებლათ, რომ საბინაო საკითხები აწარმოვოს.

✦ **ლტოლვილთა რაოდენობა გურიიდან.** ლტოლვილთა დამხმარე ოზურგეთის მაზრის კომიტეტის ცნობით 1 ივნისს გურიიდან ყოფილა სულ 20417 ლტოლვილი. აქედან ძიმითის საზოგადოებიდან-4503 გურიანთის 683 კურუკვეთის 477. სიბათის 357. ქ. ლანჩხუთის 845 ლანჩხუთის საზოგადოების 736, აკეთის 2301 ჯუმათის 1936. ასკანის-603. ჩოხატაურის 361. ნაგომარის 211 სუფსის—612 ჩოჩხათის 783. აცანის -485. ნიგოითის 328. ამაღლების 248. ბასილეთის 378. შემოქმედის-1044. ბახვის—911. მიქელგაბრიელის—944. ერკეთის-520 ჯვარცხმის—450 და ნანეიშვილის—სეულის 600.

✦ **ერობის გარშემო.** ზუგდიდის მაზრაში ერობის შემომღებ ინსტრუქტორად დაინიშნა ალექსანდრე ჩიქავა.

✦ **კრება.** დღეს, 22 ივნისს საღამოს 7 საათზე საგუბერნიო აღმასრულებელი კომიტეტის ბინაზე დანიშნულია ლტოლვილთა დამხმარე საგუბერნიო კომიტეტის წევრთა კრება. გასარჩევია ფრიად საყურადღებო საკითხები.

## თბილისი.

**ჟურულის გასვლა პარტიიდან.** ეროვნულ საბჭოს უკანასკნელ სხდომაზე ეროვნულ დემოკრატიულმა პარტიამ უნდობლობა გამოუცხადა ბ. ნოე რამიშვილის კაბინეტს. ამას უნდა მოჰყოლოდა ბ. გ. ჟურულის გადადგომა სამინისტროდან. მოლოდინის წინააღმდეგ ფინანსთა მინისტრმა პარტიიდან გამოსვლა და მთავრობაში დარჩენა არჩია. ამგვარად ეროვნულ დემოკრატიას თავისი წარმომადგენელი აღარ ჰყავს მთავრობაში.

— **ინგუშთა სახალხო საბჭომ** საქართ. მთავრობას თხოვნით მიმართა გადაუხადოს 12,434 მან, რომელიც მან ქართველ მწყემსთა ჯოგების დამცველ რაზმის შესადგენად დახარჯა.

— **ფინანსთა სამინისტრომ** მთავრობის წინაშე შუამდგომლობა აღძრა 1918 წ. განაგრძოს სოგიერთ პირდაპირ გადასახადების და ბეგარის აღება გადიდებულ ტარიფით,

— **ოზურგეთის ქალაქის თვითმართველობამ** მთავრობას სთხოვა 50,000 მან. გადასდოს ქალაქისათვის უპროცენტო სესხის სახით, ხოლო 20,000 მან. სამუდამოდ.

## ბაქოს მდგომარეობა.

ამ ჟამად ბაქოში იმყოფება საბჭოთა მთავრობის 25,000 ჯარისკაცი. მსხვილ სამხედრო ნაწილთა შორის სხვათა შორის შედის მე-36 თურქესტანის პოლკი. ერთდროს ბაქოში იმყოფებოდა მოსკოვის რაზმი, რომელიც თურქესტანის პოლკთან და წითელი არმიის რაზმებთან შეთანხმებით პეტროვსკისა და დერბენდის ექსპედიციაში მონაწილეობას ღებულობდა.

ამას გარდა საგრძნობ ძალას წარმოადგენს გიდროპლანები და საზღვაო ერთე-

---

იზრუნოს ნამდვილმა მიწადმოქმედებამ, თორემ ჩვენი ქვეყნის მეურნეობა ისე აირევა, რომ შეუძლებელი გახდება რაიმე ნორმალური, ეკონომიური ან პოლიტიკური კავშირი ევროპის სახელმწიფოებთან;

ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქციის რწმენით, მიწის საკითხის საბოლოო გარდაწყვეტა მხოლოდ საქართველოს დამფუძნებელ კრებას შეუძლია; მაგრამ ყოველს შემთხვევაში სომეხ-თათარ-რუსულ სეიმის მიერ იოლად დამტკიცებული კანონი ახლად უნდა იქნას განხილული საქართველოს ეროვნულ საბჭოს მიერ. მართალია უმრავლესობა აქ სოციალისტებს ეკუთვნის, მაგრამ ჩვენი ფრაქცია მაინც ეცდება გაარკვიოს აქ აგრარული რეფორმის პრაქტიკული მხარე.

ჩვენი პრინციპიალური შეხედულება კი შემდეგია. გლეხი, მიწის მუშა არის ბურჯი ეროვნულ სახელმწიფოს ეკონომიურ და სამხედრო ძლიერებისა. ამიტომ გლეხი უნდა უზრუნველ იქმნას მიწით, ისე როგორც სამეურნეო იარაღით და ცოდნით. მაგრამ ეს რეფორმა უნდა მოხდეს სახელმწიფო წესით, ისე რომ არავის არ წაერთვას მისი საკუთრება — სახელმწიფომ უნდა ჩამოართვას დიდ მემამულეებს ზედმეტი მიწა სამართლიანი ფასის გადახდით და შემდეგ ეს მიწა უნდა მიჰყიდოს სრულ საკუთრებათ მიწის მუშას. მიწისმფლობელობის ნორმა უნდა დაწესდეს საქართველოს ყოველ მხარეში განსაკუთრებით, ადგილობრივი პირობების მიხედვით. ამასთანავე მთავრობამ უნდა შეჰქნას სახელმწიფო საკოლონიზაციო ფონდი, რათა საქართველოს ერთი კუთხიდან მეორეში გადაასახლოს უმიწაწყლო გლეხობა, ისეთის წესით, რომ აღმოსავლეთ საქართველოს ეთნოგრაფიული და სტრატეგიული მთლიანობა საბოლოოდ უზრუნველი იქმნას.

მთავრობის დეკლარაცია ამბობს მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესებაზე.

ჩვენ ვიცით, რომ მუშათა კლასის ფიზიკური, ეკონომიური და კულტურული გაღონიერება ეროვნულ სახელმწიფოს გაღონიერებას ნიშნავს. მაგრამ სწორედ საქართველოს ეროვნულ სახელმწიფოებრივი ინტერესი მოითხოვს, რომ შრომის კანონების დაწესების დროს სერიოზული ანგარიში გაუწიოს იმ ფაქტს, რომ ჩვენი ქვეყნის დროებითი იზოლიაცია მსოფლიო ბაზრიდან, რომელშიაც ვიმყოფებოდით ჩვენ ომისა და რევოლუციის დროს, ზავის ჩამოგდების შემდეგ დასრულდა და დღეს საქართველო ცენტრალ ევროპის ეკონომიურ სისტემაში არის მოქცეული.

მთავრობა გვპირდება „ახალ პირობათა მიხედვით გარდაქმნას სასამართლო და სკოლა, განსაზღვროს ადმინისტრაციისა და თვითმართველობის ურთიერთობა“.

ჩვენი აზრით საჭიროა დაუყონებლივი ნაციონალიზაცია ყველა ოფიციალური დაწესებულებათ; უნდა გამოიცეს დაუყოვნებლივ ბრძანება, რომ მთელს საქართველოში სახელმწიფოს ენა—ქართული ენა არის. კერძოდ უნდა მოხდეს დაუყონებლივ თბილისის ქალაქის თვითმართველობის რეორგანიზაცია, ვინაიდგან საქართველოს სახელმწიფო ინტერესი ულმობელად მოითხოვს დედა-ქალაქის, თბილისის გაქართულებას და ამისათვის კი პირველ ყოვლისა მუნიციპალიტეტის გაქართულება არის აუცილებელი.

საჭიროა აგრეთვე დაუყონებლივი ორგანიზაცია ეროვნულ-სახელმწიფო სასამართლოსი და ადმინისტრატიულ პირების პასუხის გების დაკანონება სასამართლოს წინაშე...

მთავრობას „თავის მოვალეობად მიაჩნია ცხოვრებაში გაატაროს საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობათა მოქალაქეების პოლიტიკური, მოქალაქობრივი და ეროვნულ-კულტურული უფლებები. ჩვენის აზრით ამისათვის საჭიროა დაუყონებლივ გამოიცეს ისეთი კანონი საქართველოს ქვეშევრდომობის შესახებ, რომელიც შეეთანხმება საერთაშორისო უფლების ნორმებს შესახებ ქვეშევრდომობისა, ნატურალიზაციისა.

ასეთი ეროვნული უნდა იყოს მთავრობის პოლიტიკა, თუ გვინდა, რომ საქართველო ფეხზე წამოდგეს. გამაგრდეს და გახდეს სახელმწიფოდ სხვა სახელმწიფოთა შორის.

მხოლოდ სახელმწიფოებრივი წესით მოწყობილ ჯარით, ფინანსებით: ადმინისტრაციით და მხოლოდ სხვადასხვა კლასების ეროვნულ სახელმწიფოებრივი შეთანხმებით და კომპრომისით შეიძლება ჩვენი ქვეყნის სუვერენიტეტის უზრუნველყოფა და ევროპისა და აზიის თავისუფალ ერთა შორის სათანადო საერთაშორისო ალაგის დაჭერა.

მხოლოდ მტკიცე სახელმწიფოებრივი პოლიტიკის მთავრობას შეუძლია ნაციონალური დიპლომატიის წარმოება...

ინტერნაციონალური სოციალისტური პოლიტიკის ბრალი იყო რომ საქართველო დროზე არ დაადგა საკუთარ ეროვნულ გზას, როგორც შინ, ისე გარედ.

რუსის ჯარის შინ წაბრძანების შემდეგ, საქართველოს რომ საჩქაროდ რეგულიარული ჯარი შეედგინა, რუსეთის ბოლშევიკურ ფედერაციას რომ დროზე მოვშორებოდით, დამოუკიდებლობა გამოგვეცხადებინა და საკუთარი სახელმწიფო შეგვექმნა, ბრესტლიტოვსკში რომ ოსმალეთ-გერმანიის წინადადებით კონფერენციაში მონაწილეობა მიგველო, ჩვენი ძველი მეზობელი ერები რომ ამიერ-კავკასიის უცნაური პოლიტიკით ჩვენდა საუბედუროდ არ აგვერია, ოსმალეთი რომ სეიმის დიპლომატობით არ გაგვეღიზიანებინა და საქართველოს წინააღმდეგ არ აგვემხედრებინა, საერთაშორისო პერსპექტივები რომ დროზე გაგვერკვია და გერმანიაში მომქმედ თავდადებულ ქართველ მამულიშვილის მიხაკო წერეთლის ღვაწლით დროზე გვესარგებლა, მაშინ უჯარო ქვეყანას ოტომანის იმპერიას არ დავტაკებდით, საქრისტიანო საქართველოსთან ერთად მთელი სამაჰმადიანო საქართველოც თავისუფალი იქნებოდა.

რაც მოხდა მოხდა... საქართველო ჯერ კიდევ მომავალშია... სულ სამი კვირაა რაც დამოუკიდებელი პოლიტიკა დავიწყეთ, მაგრამ ბრწყინვალე მომავალს ვერ მოვესწრებით, თუ საქართველოს მთავრობამ ეროვნული სახელმწიფოებრივი გზის გარდახვევა და ყოყმანი განაგრძო... საქართველო რომ ზელანდიასავით სადმე, გადაკარგულ კუნძულზე იყოს და კაცობრიობის ისტორიისთვის უცნობ პოლიტიკურ და ეკონომიურ ექსპერიმენტებს დავაცქერდეთ, კიდევ ჰო, მაგრამ ჩვენი სამშობლო დიდი იმპერიების ინტერესების სფეროშია და თუ საკუთარის ხელით დროზედ არ შევქმენით ნამდვილი ღონიერი სახელმწიფო, უსათუოდ დაპყრობა და ახალი მონობა მოგველის.

უკანასკნელი ვადა გადის. რაც დღეს შესაძლოა ის ხვალ დიდი რისკიდაც შეუძლებელი იქნება.

დღეს დიდი გერმანიის იმპერია მეგობრულად, რაინდულად გვეხმარება, როგორც აქ საქართველოში, ისე იქ, საზღვარ-გარედ სტამბოლში.

უნდა განვამტკიცოდ, ჩამოვაყალიბოთ ეს განწყობილება, ვაქციოთ იგი მტკიცე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ულები „არარატი“, „ყაზბეგი“, „ალმოსავლეთი“, პარიზიენი“, „დაგესტანევცი“ და სხვა.

ხსენებულმა გემებმა პეტროვსკის ალებაში საბჭოთა მთავრობას დიდი დახმარება აღმოუჩინა.

ამ ჟამად ბაქოში სამრეწველო ცხოვრება პროგრესიულად კვდება.

შეძლებულ კლასები როგორც მუსულმანებისა, ისე სომხებისა ქალაქს სტოვებს. უმუშევრობ. ფართე ხასიათს ღებულობს, მუსულმან-მუშებსაც შიმშილით სიკვდილის საშინელება აიძულებს საბჭოთა რაზმებში ჩაეწერონ და შეებრძოლონ ვის წინაალმდეგაც არ უნდა იყოს.

სურსათ-სანოვაგის ფასები ბაქოში თბილისზე შედარებით მეტად ძვირობს. გირვანქა პური ფასობს „რომანოვის“ 15·16 მანეთად ბრინჯი და ხორბალი გირვანქა 7 მანეთად იყიდება, შაქარი 8 მანეთად, კვერცხი ცალი 1 მანეთად და 10 შაურად.

ფინანსიური კრიზისი უკიდურესობამდის გამწვავდა.

რკინისგზის მოსამსახურენი ჯამაგირებს, მაშვინ ღებულობენ, თუ კასაში რამე აღმოჩნდა. ხშირად მათ ჯამაგირებს სამხედრო—სარევოლუციო კომიტეტი აძლევთ, მაგრამ სრულად კი არა. რკინისგზის მიმოსვლა წესიერად არცერთ ხაზზე არ სწარმოებს.

კავკასიის გზაზე მოდიან შემთხვევითი მატარებლები. აჯიკაბულისკენ ხვდებით სამხედრო და ჯავშნიან მატარებლებსაც.

მუღანის მინდვრებში ბოლშევიკები პურის მკას შეუდგენ, რომელიც დათესილია რუსის მცხოვრებლებისაგან.

ბაქოში აუტანელი მდგომარეობის და მთელი რიგი კრიზისის გამო რუსი მოხელეები მასიურად სტოვებენ ქალაქს და რუსეთისაკენ მიემგზავრებიან.

ქართველ მოხელეებმა შუამდგომლობით მიმართეს სამხედრო-სარევოლუციო კომიტეტს, რომ ისინი თბილისს იქმნენ გაგზავნილნი, მაგრამ კომიტეტში მათ განუმარტეს, რომ ვითომც საქართველოს მთავრობა დღევანდელ პირობებში შესაძლებლად ვერ სცნობს ბაქოდან თავისი ქვეშევრდომები მიიღოს.

---

საერთაშორისო კავშირათ, გამოვიყენოთ დაუყონებლივ გერმანიის სახელმწიფო, საფინანსო და სამხედრო დახმარება, შევქნათ საჩქაროთ ნამდვილი ეროვნული რეგულიარული ლაშქარი, რომელსაც დაეყრდნობა ნამდვილი რეგულიარული მთავრობა, შედგენილი არა პარტიულის, არამედ ეროვნული სახელმწიფო ინტერესების მიხედვით და მაშინ თუ იმას ვერ შევძლებთ რომ მთელს კავკასიაში, მთელს ევროპაში, და მთელს ქვეყანაზე ჩვენი ინიციატივით სამოთხე დავამყაროთ, იმას მაინც შევძლებთ რომ საბოლოოდ უზრუნველვჰყოთ ქართველი ერის თავისუფალი ფიზიკური ეკონომიური, და კულტურული განვითარება სამშობლო მიწა-წყალზე, საკუთარ სახელმწიფოს ჭერის ქვეშ.

### ეროვნულ-დემოკრატიულ ფრაქციის ფორმულა.

შეტანილი თიბათვის 17 სხდომის კრებაზე.

ეროვნულ-დემოკრატიულ ფრაქციამ მთავრობის დიკლარაციით გამოწვეულ კამათის დასრულებისას შემდეგი ფორმულა შეიტანა: მთავრობის სამხედრო ფინანსიური და აგრარული პოლიტიკა საფრთხეს უმზადებს სახელმწიფოს. ეროვნული საბჭო საჭიროდ სთვლის მთავრობის ორგანიზაციას სახელმწიფოებრივ და სოციალისტურ ელემენტების შეთანხმებით პარიტეტის პრინციპზე და კოალიციურ პლატფორმის ნიადაგზე.

ეს ფორმულა უარყოფილ იქნა ყველა სოციალისტურ ხმების უმრავლესობით ეროვნულ-დემოკრატების წინაალმდეგ.

---

## სამოსწავლო კომისარიატი და რელიგია. *)

სამოსწავლო ოლქის კომისარიატს უცნაური აზრი მოსვლია თავში და ასეთივე უცნაური სურვილი ეს აზრი კანონად გადააქციოს და მას დაუმორჩილოს ამიერ-კავკასიის მცხოვრებნი და კერძოდ ქართველები. ეს კანონ-პროექტი ასე იკითხება:

„დღიდან ამ კანონის გამოცემისა საღმრთო სჯულის სწავლება ისპობა ამიერ-კავკასიის ყველა უმაღლეს, საშუალო, დაბალ სახელმწიფო, საზოგადო და კერძო სასწავლებელში. ყველა სასწავლებელში უნდა გაუქმებულ იქნას რელიგიურ წესების შესრულებაო“. ცივად დაასკვნის კანონ-პროექტი.

ამაზე წინ კომისარიატიდან მოვიდა განკარგულება, მღვდლები არც ერთ შტატის საგანზე, გარდა საღმრთო სჯულისა, დამტკიცებულნი არ იქნებიანო.

უცნაური აზრია, უცნაური სურვილი და უცნაური კანონი.

ამ დაბოლო ხანებში ჩვენი ქვეყანა უცნაურობის ქვეყნად გადიქცა. რა გნებავსთ, რომ აქ თქვენს გაკვირვებას არ იწვევდეს: რელიგია, წესწყობილება, აღებ-მიცემობა, ურთი-ერთობა, ხასიათი, ზნე-ჩვეულება,—მთელი ჩვენი ცხოვრება!

ამას წინეთ ჩვენს ეროვნულ საბჭოში, კონსტიტუციის შემუშავების შესახებ ერთმა წევრმა განაცხადა: ჩვენ ისეთს კონსტიტუციას შევქმნით, რომლის ბადალიც ჯერ არსად ყოფილა, მოდგენ და ინტვრიონ თავი იურისტებმა, თუ რომელ ტიპის კონსტიტუცია იქნებაო. ასეთი რამ ეტყობა მუშავდება, და ასეთ კონსტიტუციაში არა თუ იურისტებისათვის, ყველასათვის თავსამტვრევი და გაუგებარი იქნება სახელმწიფო ცხოვრება, საიდანაც სრულიად განდევნილი იქნება რელიგია და სარწმუნოება.

ჩვენ ვეცდებით გავიხილოთ ეს კანონ-პროექტი ყოველის მხრივ და, რაც შეიძლება, მიუდგომელად.

ჩვენ არ ვიცით არც ერთი სახელმწიფო არც ძველად წარმართობის დროს, არც საშუალო საუკუნეებში, არც უკანასკნელ ხანის, სადაც სახელმწიფო ცხოვრებიდან კანონმდებლებს სჯული და სარწმუნოება განედევნონ. უსჯულოება არ იციან არა თუ მოწესრიგებულმა სახელმწიფოებმა, უკიდურეს ველურებმაც კი, გარდა ცხოველებისა, ვინაიდან მათ არ აქვთ ის სულიერი მოთხოვნილებანი, რომელნიც მხოლოდ ადამიანის კუთვნილებას შეადგენენ. რაც შეეხება ადამიანს, ის რელიგიით და გონიერ-მეტყველებით განსხვავდება ცხოველებისაგან. ჩვენი ახალ მოდის კანონ-მდებლები კი გაიძახიან, მოსპეთ რელიგიის სწავლება ყველა სასწავლებელში, ე. ი. შეიქენით ცხოველებათ. აი კულტურა და განათლებაც ამას ჰქვიან! აი პროგრესი!

რამ გამოიწვია ასეთი მკაცრი კანონი ჩვენში რელიგიის წინაალმდეგ! რელიგია —ეს ხომ ადამიანის სულის მოთხოვნილებაა, სწორედ ისეთი, როგორიც არის ზნეობრივი მოთხოვნილება, როგორიც არის ესტეტიური მოთხოვნილება. ეს მოთხოვნილებანი ადამიანს თანდაყოლი აქვს და ამიტომ მათი აღმოფხვრა ადამიანის სულისგან არავითარ კანონმდებლობას, არავითარ ძალას არ შეუძლია.

როდესაც საშუალო საუკუნოებში ნეტარ ავგუსტინეს მოძღვრება მწვალებლობის წინაალმდეგ მიღებულ და მოწონებულ იქმნა, სასტიკი ომი გამოუცხადეს, მწვალებლებს, მაგრამ მწვალებლობა ვერ მოსპო ვერც აკუოდაფის ალმა, ვერც ფანატიკოს ტორკვემადომ, რომელმაც ხელი მოაწერა ასი ათასი კაცის სიკვდილით დასჯაზე და სთქვა: დაე თვით ღმერთმა განსაჯოს, ვინ არის მათ შორის მართალი და ვინ მტყუანიო, აქ სდევნიდენ არა მართალ-მორწმუნეთ, არამედ ცრუ-მორწმუნეთა, მაგრამ მათ წინაალმდეგაც ყოველიფერი უძლური შეიქმნა. ზედმეტია ლაპარაკი შესისხლ-ხორცებულ სარწმუნოების მოსპობის შესახებ. აქ ყოველი დევნა მხოლოდ გაამწვავებს საქმეს და სრულიად უნაყოფო იქნება.

სახელმწიფო უფლებამ ეკლესიის და და სარწმუნოების დევნა არ იცის გარდა ორი შემთხვევისა. სახელმწიფო სდევნის ეკლესიას მაშინ, როდესაც მან თავის მაღალ დანიშნულებას გვერდი აუხვია და მიზნად დაისახა მიწიერი ინტერესის განხორციელება, მამულების შეძენა და ნივთიერ ქონების გადიდება. ამ შემთხვევაში სახელმწიფო, რომელიც ყოველთვის დაინტერესებულია თავის ძალდატანებით უფლების გატარებაში (принудительное властвованіе), იძულებული ხდება ამ გარემოებას მიაქციოს ყურადღება და შესაფერი ზომები მიიღოს ეკლესიის ასეთ მიმართულების შესაზღუდავად. სახელმწიფოს ამ შემთხვევაში შიში ებადება, და საფუძვლიანადაც, რომ ეკლესიამ არ მოიხვეჭოს ზედმეტი უფლება და არ გახდეს თავისუფალ ეკლესიად არა თავისუფალ სახელმწიფოში, რომ მან არ გამოიჩინოს ისეთივე მიმართულება, როგორიც ჰქონდა მას საშუალო საუკუნოებში, როდესაც შეძლებული და ფრიად გავლენიანი ეკლესია უფლებას ედავებოდა სახელმწიფოს, ძლიერ მეტოქობას უწევდა და მართლაც წარმოადგენდა მისთვის საშიშ საფრთხეს. მეორედ სახელმწიფო სდევნის ისეთ სჯულის მოძღვრებას, რომელიც შეიცავს რაიმე უზნეობას და ხალხში გარყვნილებას ავრცელებს. გარდა ამ ორ პირობებისა სახელმწიფომ არ იცის ეკლესიის შეზღუდვა, ვინაიდან მისი დევნა იქნება სრულიად აუხსნელი უსამართლობა, ყოვლად უსაფუძვლო და გამოუდეგარი ბრძოლა.

ახლა გადავხედოთ ამ თვალსაზრით ეკლესიურ ცხოვრებას ჩვენში და ვიკითხოთ, წარმოადგენს ის რაიმე საშიშ საფრთხეს ჩვენი ახლად ჩანასახ სახელმწიფოსთვის?

ყველასთვის ცხადია, რომ ქართული ეკლესია არის ერთი ულარიბესი ეკლესია; მას დღეს არავითარი ქონება არ გააჩნია; ის რაც ებადა, რუსის სინოდმა ჩამოართვა. მართალია ეს ქონება უდრიდა ნახევარ მილიარდ მანეთზე მეტს, მაგრამ ქართველ სამღვდელოებას აქედან ეძლეოდა რაღაც ნამცეცები, სულ 489,321, 96 კაპ., საიდანაც სასულიერო დაწესებულებათა ხარჯის გამოკლებით ეკლესიის კრებული საშუალოდ იღებოდა წლიურად არა უმეტეს 150—300 მ. საკითხია, რას წარმოადგენს სახელმწიფოსათვის ისეთი სამღვდელოება, რომელიც სამას მანეთს იღებდა წელიწადში და ზოგიერთ შემთხვევაში არც ამას? არაფერს! ის ადგილ-მამული, რომელიც წინეთ სამღვდელოების საკუთრებას შეადგენდა, ეხლა მიწის მფლობელობის ახალი კანონის ძალით ხალხს ურიგდება, და რჩება ჩვენი სამღვდელოება სრულად უსადსროდ, ისევ ისე ულუკმო-პუროდ, როგორც წინეთ. ამასთანავე ვინ არ იცის, რომ უმეტეს ნაწილი ჩვენ სამღვდელოებისა სიბნელით არის მოცული. ვისთვის რა საფრთხეს წარმოადგენს ასეთი კლასი? ვის უნდა ეშინოდეს წოდების, რომელიც ყოველ გავლენას არის ხალხზე მოკლებული? არავის! ერთად ერთი წყარო სწავლით აღჭურვილ ჩვენი სასულიერო პირთა იყო მასწავლებლობა; თითო-ოროლა კაპიკს იღებდნენ ისინი სასწავლებლიდან და ასმით ჰმოსავდნენ და ზრდიდნენ თავიანთ შვილებს. დღეს „თავისუფლების“ მოტრფიალე „სოციალისტებმა„ ზედ-მეტად დაინახეს ესეც და ცხოვრების ამ უკანასკნელს საშუალებასაც პირიდან აცლიან გაძვალტყავებულ ქართველ სამღვდელოებას. ვერვინ იტყვის აგრეთვე. ვითომ ჩვენი სარწმუნოება რაიმე უზნეობას და გარყვნილებას შეიცავდეს. მაშ, რომელ უფლების ძალით იდევნებიან დღეს სკოლიდან ჩვენი რელიგია და მისი წარმომადგენელნი?

სარწმუნოებას რომ [illegible] არ სდევნიდენ ნერონის დროს, და, თუ ეს ვაჟბატონი ჩირაღდნების აკეთებდა ქრისტიანებიდან, ტაციტის სიტყვით, ეს მით აიხსნება, რომ ქრისტიანები ხალხში ვითომ გარყვნილობას და ცრუმორწმუნეობას ავრცელებდენ.

მაშ რა საფუძველით, რა მოსაზრებით ამართლებენ ჩვენი კონსტიტუციონალისტები კანონს სკოლებში სამღვთო სჯულის მოსპობის შესახებ?

იქნებ ჩვენმა კანონმდებლებმა ასეთი მაგალითი ევროპის და დაწინაურებულ ქვეყნის სახელმწიფოში ჰპოვეს და მათ მიხედვით აქაც განდევნეს და მოსპეს სარწმუნოება. თუ ასეა, ვნახოთ, რა მდგომარეობაშია სარწმუნოება განათლებულ უცხო სახელმწიფოში. დავიწყოთ ამერიკიდან.

ქრისტიანი.

*) ვბეჭდავთ ამ წერილს, რაკი მეტად საყურადღებო საკითხს ეხება. რედაქცია შემდეგ გამოსთქვამს თავის აზრს. **რედ.**

---

## გაკვრით.

ქართველები ამ ასმა წელიწადმა გადაგვარების გზაზე დაგვაყენა. ვფიქრობდით ამ სენის განსაკურნებლათ დამოუკიდებლობის გამოცხადება უებარი წამალი იქნებოდა, მაგრამ ვერც ესა გვშველის ჯერჯერობით.

რუსულად მუსაიფს რომ თავი დავანებოთ, რომელიც ძველებურად იმის ბრალიანსა და უბრალოსაგან ყოველ გზა ჯვარედინზე, წარმოიდგინეთ ზოგიერთი ჩვენი ვაჟბატონები, სხვა და სხვა გვარ საჭირო წარწერას ისევ რუსულ ენაზე აწარმოებენ.

ამ ორი დღის წინეთ საფირჩხიის სასაფლაოზე გახლდით და ერთი შავათ დაბურული, მდიდრულათ ჩაცმული ქართველი მანდილოსანი, ოსტატს თავზე ადგა და მსხვილი რუსულია ასოებით სასაფლაოს ქვაზე აწერინებდა: „ЗДѢСЬ ПОКОИТСА ПРАХЪ.....“ ჩემს გუნებაში ვსთქვი ამაზე მეტი უგნურება და გონებით დაბრმავება იქნება მეთქი?

მეორე ადგილას, შუაგულ ქალაქში, ჩვენს სავარდო და სამაისო ქუთაისში, ამ გვარი სურათი დავინახე: ერთი ვინმე ვაჭარი თავის ახლად აშენებულ დუქნის წინ დგას და ოსტატს, შესავლელი კარების თავზე, მსხვილივე ასოებით აწერინებს „Парикмахер Порфирій“. რას ნიშნავს ეს თუ არა სულით სიმახინჯეს და შეჩვეული ჭირის თაყვანის ცემას?

ფრიად საჭიროა ჩვენმა მთავრობამ ერთხელ და სამუდამოთ აღკრძალოს სავაჭროსა და სხვა ოფიციალურ შენობებზე რუსულად წარწერა და არსებული წარწერები დაუყონებლივ მოსპოს, რომ ეს წარწერები ჩვენ დაკნინებასა და გადაგვარებაზე აღარ ლაპარაკობდენ.

დრო არის შევუდგეთ განახლებულ ცხოვრებას მშობლიურ ნიადაგზე.

მ. ბუაჩიძე.

---

## ჩვენი ფოსტა

**კ. გძელს.** ველით წერილებსა და კორესპონდენციებს. შეგვატყობინეთ მისამართი.

**ვ. ჭიჭინაძეს.** გვიგზავნეთ ხშირად კორესპონდენციები.

**ი. ლოლუას.** დიდი ხანია თქვენგან არაფერი მიგვიღია.

**მ. გოცირიძეს.** ველით კორესპონდენციებს.

**ვ. გუთრუნისპირელს.** გამოგზავნეთ ცნობები სოფლის ცხოვრებიდან.

**ი. აბდუშელიშვილს.** მოგვაწოდეთ კორესპონდენციები სოფლის ცხოვრებიდან.

**ჩვენს ყველა კორესპონდენტებს:** გთხოვთ შეგვატყობინოთ თქვენი მისამართები. გაზეთი უსასყიდლოდ გამოგეგზავნებათ. კორესპონდენციები რაც შეიძლება ხშირად მოგვაწოდეთ.

---

რედაქტორ-გამომცემელი

დ. ბ. კვირკელია.

სტამბა „ძმობა“ პუშკინის ქუჩა, გოკიელოვის სახლი, ქუთაისში

ეროვნული ბიბლიოთეკა